პროგრამის სახელწოდება

სამოსის დიზაინი CLOTHING DESIGN

განათლების საფეხური

მაგისტრატურა MASTER DEGREE

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მოდის დიზაინის მაგისტრი MASTER OF FASHION DESIGN

პროგრამის მოცულობა ECTS

120

სწავლების ენა

ქართული

სწავლის ღირებულება

2250 ლარი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე მიღების წინაპირობაა - სახვითი ხელოვნებისა და დიზაინის ბაკალავრის/მასთან გათანაბრებული ხარისხი. ასევე დაიშვებიან ბაკალავრები, რომელთაც გავლილი აქვთ minor - პროგრამა დიზაინში, ზემოაღნიშნული მაგისტრანტობის კანდიდატები აბარებენ შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებით ტურს სპეციალობაში - სამოსის კომპოზიცია (შეფასება 100 ქულიანი სისტემით) და გამოცდას ინგლისურ ენაში B2 დონე. სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულები გაივლიან დამატებით ტურებს (შეფასება 100 ქულიანი სისტემით: სპეციალობის და დამატებითი ტურის შეფასებების საშუალო არითმეტიკული) ფერწერა 0-90 ქულა, ხატვა 0-90 ქულა -შეფასება: ხატვა, ფერწერის ქულათა საშუალო არითმეტიკული და სახვითი ხელოვნების ისტორია 0-10 ქულა. პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულნი არ თავისუფლდებიან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისგან (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში B2 დონე);

ინგლისურ ენაში B2 დონის დადასტურება ასევე შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით.

თითოეული საკონკურსო ნამუშევარი საგამოცდო კომისიის მიერ ფასდება 100 ქულიანი სისტემით მოცემულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის ერთობლიობით.			
შეფასების კრიტერიუმები			
სამოსის კომპოზიცია	***ხატვა***	***ფერწერა***	***შეფასება***
კონცეფციის ორიგინალობა; შემოქმედებითი მიდგომა; კომპოზიციური განაწილება; პროპორცია და მასშტაბი; აგება კონსტრუირება; პლასტიკა; კოლორისტიკა; ფაქტურა; ნამუშევრის დეტალების ურთიერთკავშირი; ესკიზის შესრულების ხარისხი.	*კომპოზიციური განაწილება სასურათე სიბრტყეზე; გრაფიკული კულტურა - შტრიხი; საგანთა აგება კონსტრუირება; შუქ-ჩრდილი, რეფლექსი; პროპორცია და მასშტაბი; საგანთა ფორმა-ხასიათი; ფაქტურა, მასა და სიმკვრივე; პერსპექტივა; სივრცე.*	*კომპოზიციური განაწილება სასურათე სიბრტყეზე; კოლორისტიკა; საგანთა აგება კონსტრუირება; პროპორცია და მასშტაბი; საგანთა ფორმა-ხასიათი; მასა და სიმკვრივე; პერსპექტივა; ფაქტურა; სივრცე.*	*9-10 ქულა - სრულად არის დაცული კრიტერიუმი; 7-8 ქულა-ძირითადად არის დაცული კრიტერიუმი; 5-6 ქულა-ნაწილობრივ არის დაცული კრიტერიუმი; 3-4 ქულა- კრიტერიუმი ნაწილობრივ ნაკლოვანია; 1-2 ქულ -კრიტერიუმი ძირითადად ნაკლოვანია; 0 - არ არის დაცული კრიტერიუმი.*
სახვითი ხელოვნების ისტორია - 0-10 ქულა (2 ხუთქულიანი საკითხი)			
საგამოცდო საკითხები	***ლიტერატურა***		
● საზღვარგარეთის სახვითი ხელოვნების ისტორია: ▪ ძველი ეგვიპტის ხელოვნება. ▪ ძველი საბერძნეთისა და რომის ხელოვნება. ▪ აღორძინების ეპოქის ხელოვნება (ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, მიქელანჯელოს, ტიციანის შემოქმედება). ▪ XVII ს-ის დას. ევროპის ხელოვნება (ელ გრეკო, დიეგო ველასკესი, პიტერ პაულ რუბენსი, რემბრანდტი). ▪ კლასიციზმი- ნ. პუსენი ▪ რომანტიზმი: ფრანსისკო გოია, ეჟენ დელაკრუა. ▪ იმპრესიონიზმი: მანე, მონე, დეგა, რენუარი. ▪ პოსტიმპრესიონიზმი: ვან გოგი, გოგენი, სეზანი. ▪ ანრი მატისი ▪ პ. პიკასო ● ქართული სახვითი ხელოვნების ისტორია:	რ. გორდეზიანი. ბერძნული ცივილიზაცია. ნაკვეთი I. თბ. , 1988 გ. ლინდემანი, ჰ. ბეკჰოფი, ბერძნული არქაიკიდან ბაროკომდე. ტ.I. თბ. 1992 ე. ჰ. გომბრიხი. ხელოვნების ამბავი. თბ. , 2012 ა. კლდიაშვილი, ნ. ღაღანიძე - ძველი ეგვიპტე. თბ. 2000 კ. მაჩაბელი - შედევრები და საუკუნეები. თბ. 2001 ვ. აფანასიევა, ე. ლუკონინი, ნ. პომერანცევა - ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება. თბ. 1986 ნ. მაჭარაშვილი, ნ. სილაგაძე - მსოფლიო ხელოვნება. თბ. 2010 ჯ. კლარკი - ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია, რენესანსიდან დღემდე. თბ. 2010 სერია - დიდი მხატვრები ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2000; ა. კლდიაშვილი, მ. იზორია, საქართველო, თბ., 2001. დ. თუმანიშვილი, დ. ხოშტარია, მცხეთის წმინდა ჯვრის ტაძარი, თბ., 2008. ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, თბ., 1981. თ. საყვარელიძე, ქართული ჭედური ხატები, თბ., 1997. თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, თბ.1979. ნ. ჭიჭინაძე, შუა საუკუნეების ქართული ხატწერა, თბ., 2011 გ. აბრამიშვილი, ხახულის კარედი, თბ., 1979; შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, თბ., 1937. თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, თბ., 1984		

▪ V-VII სს-ის ქართული არქიტექტურა - ბოლნისის სიონი, მცხეთის ჯვარი, წრომისა და ბანას ტაძარები. ▪ X ს-ის ქართული ხუროთმოძღვრება- კუმურდოსა და ოშკის ტაძრები. ▪ XI- ს-ის სამი კათედრალი - ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ალავერდი ▪ XII-XIII სს-ის არქიტექტურა (გელათი, ქვათახევი, ბეთანია) ▪ XI ქართული ოქრომჭედლობა- (იშხნის, ბრეთის, მარტვილის საწინამძღვრო ჯვრები). ▪ XII- XIII სს-ის ქართული ოქრომჭედლობა - ბეშქენ და ბექა ოპიზრები ▪ რუსთაველის ეპოქის ქართული კედლის მხატვრობა (ზოგადი დახასიათება) ▪ XIX-XX სს-ის ქართული ხელოვნება - გ. გაბაშვილი, ი. ნიკოლაძე ▪ ნ. ფიროსმანაშვილი ▪ ახალი ქართული მხატვრობა - დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ელ. ახვლედიანი, შ. ქიქოძე. ▪ ქართველი სცენოგრაფები- პ. ოცხელი, ირ. გამრეკელი	ი. ლორთქიფანიძე, მ. ჯანჯალია, წალენჯიხა, თბ., 2011. მ. ჭიჭილეიშვილი, სხალთა (ბუკლეტი), თბ., 2009. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია,თბილისი - 1971. ი. არსენიშვილი, გ. გაბაშვილი, თბ., 2011; ნ. ფიროსმანი, დიდი მხატვრების სერია, თბ., 2011. ლადო გუდიაშვილი, სერია „დიდი მხატვრები“, 2011. პ. მარგველაშვილი, დავით კაკაბაძის არქივიდან, თბ., 1988. ლ. რჩეულიშვილი, ახალი ქართული ხელოვნების საკითხები. თბ. 1998. ი. არსენიშვილი, ელენე ახვლედიანი, თბ., 2011. ლ. ბუაძე, ელენე ახვლედიანი, თბ., 2008. ელენე ახვლედიანი, სერია „დიდი მხატვრები“, თბ., 2011 ი. არსენიშვილი, ავთო ვარაზი, თბ., 2011. ავთო ვარაზი, ალბომი, შემდგ. გ. ხუციშვილი, თბ., 1998. ი. არსენიშვილი, ირაკლი ფარჯიანი, თბ., 2012ბესაძე, შ. ქიქოძე, თბ., 1987. მ. კაგანი, მ.ბერძენიშვილის მაღალი ხელოვნება და XX-XXI სს-ის მხატვრული კულტურის პრობლემები, თბ.,2006. გ. ჯანბერიძე, აჭარის თანამედროვე მხატვრობა, თბ., 2012. გ. ჯანბერიძე, ხასან ინაიშვილი, თბ., 2012. მ. სთოქსთედი, მ. ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია XVIII საუკუნიდან დღემდე, თბ, 2017. მხატვრობა - ილუსტრირებული ისტორია. თბ., 2014. ა. კლდიაშვილი. ანტიკური საბერძნეთი. თბ., 2014 წელი. ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2014.

შეფასება

5 - პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს საკითხს.

4 - პასუხი გაცემულია ყველა კითხვაზე, მაგრამ შეკვეცილია; ტერმინოლოგიურად გამართულია; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს საკითხს.

3 - პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს საკითხს, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

2 - პასუხი არასრულია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად ფლობს მასალას; აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

1 - პასუხი ნაკლოვანია; გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

0 - პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არაა მოცემული.

პროგრამის მიზანი

1. ქვეყნის, რეგიონისა და ზოგადად საზოგადოების ინტერესების შესატყვისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება მოდის დიზაინის სფეროში; სტუდენტმა შეიძინოს პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა, შეძლოს საკუთარი პოტენციალის რეალიზება შემოქმდებაში და იყოს მდგრადი შრომის ბაზარზე.
2. შეძლოს: გაანალიზოს მოდის ფუნქციონალური და სოციალური ასპექტები; მოდის დიზაინის მიმართულებით მიმდინარე პროცესების კვლევა, ადეკვატური შეფასება.
3. პრაქტიკულ/შემოქმედებითი მიდგომით ჩამოაყალიბოს საპროექტო კონცეფცია, სწრაფადცვალებად გარემოში, უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნას ექსკლუზიური/მასობრივი პროდუქტი.
4. გამოიყენოს ცოდნა: შემოქმედებით საქმიანობაში; ფუნქციური, ესთეტიკური, ჰარმონიული, კომფორტული და უსაფრთხო პროდუქტის შესაქმნელად, საზოგადოების, მომხმარებლის ინტერესებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ევრისტიკული მეთოდი; ახსნა–განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პროექტირების თანამედროვე ევრისტიკული მეთოდები: დეკონსტრუქციის მეთოდი; გონებრივი იერიში; დაკვირვების მეთოდი; ემპათიის მეთოდი; ბიონიკური მეთოდი; ნეოლოგიის მეთოდი; მოწინავე ტექნოლოგიის მეთოდი; ინვერსიის მეთოდი; ანალოგიის მეთოდი.

სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

დიზაინის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- აღწერს და სიღრმისეულად განიხილავს სამოსის დიზაინერული პროექტის ძირითად კონცეფციებს, თეორიებს, უახლეს ტენდენციებსა და ტექნოლოგიურ მეთოდებს/გადაწყვეტილებებს;
- განსაზღვრავს სამოსის დიზაინის მიმართულებით პროდუქტის შექმნისა და რეალიზების პროცესებს.

უნარი

- პროექტზე/მოდის დიზაინის პროექტზე მუშაობის პროცესში დამოუკიდებლად იკვლევს ახალ მიდგომებს და იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს;
- მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოადგენს კვლევის შედეგებს (პროექტი/ნაშრომი/პროდუქტი), როგორც პროფესიული, ისე ფართო საზოგადოების წინაშე;
- მოდის მიმართულების დიზაინერულ პროექტებში უზრუნველყოფს უტილიტარულისა და ესთეტიკურის, ტექნიკურისა და ადამიანურის, კოლექტიურისა და ინდივიდუალურის ოპტიმალურ თანაფარდობას;
- მართავს, სამოსის დიზაინის მიმართულებით, პროექტს/ნაშრომს და ქმნის პროდუქტს უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების საშუალებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

• საქმიანობისას, სასწავლო თუ სამუშაო გარემოში იცავს პროფესიული ეთიკასა და აკადემიურ სტანდარტებს, ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს.

• საქმიანობისას იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით.

დასაქმების სფერო

სასწავლო კურსის გავლისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებული თავის რეალიზაციას შეძლებს:

- ინდივიდუალურ შემოქმედებაში;
- საზოგადოებრივ სექტორში;
- კულტურის დაწესებულებებში;
- შესაბამისი კვალიფიკაციის წარმოებებში;
- შესრულებული მასალების გამოფენაზე წარდგენას;
- კერძო შეკვეთების შესრულებას;
- პედაგოგიურ მოღვაწეობას.

შეფასების სისტემა

სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შუალედური შეფასება 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნითი გამოცდა 40% (0-40 ქულა).
სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.
დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).
სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ–ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:
დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
ორი სახის უარყოფითი შეფასება:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სტუდენტი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:
ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;

ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.

● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

● შუალედური გამოცდების ჩატარების დრო განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად, ხოლო დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე.

სწავლის გაგრძელება

მაგისტრის ხარისხის მოპოვების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა		
აკადემიური პერსონალი		
სახელი, გვარი	*სტატუსი*	*სასწავლო კურსი*
მაია ჭიჭილეიშვილი	პროფესორი	ხელოვნებათმცოდნეობის ზოგადი ანალიტიკური კურსი.
ქეთევან ვაჩეიშვილი	პროფესორი	ორნამენტი სამოსის დიზაინში; ქსოვილის კომპოზიცია და ტექსტილით დეკორირება;
დიანა თალაკვაძე	ასოცირებული პროფესორი	ინოვაციური მასალები და თანამედროვე მოდის ტენდენციები; სამოსის მოდელირება
ნოდარ კვირკველია	ასოცირებული პროფესორი	ხატვა; ფერწერა
ნინო მამულაძე	ასოცირებული პროფესორი	მარკეტინგული კომუნიკაციები
მოწვეული პერსონალი		
სალომე ჩიკაშუა	მოწვეული სპეციალისტი(I კატ)	სპეც. ინგლისური
ნანა კუპრაძე	მოწვეული სპეციალისტი (I კატ)	სამკერვალო ნაწარმის პროექტირება და კონსტრუირება; სამკერვალო ნაწარმის მასალაში შესრულება; საწარმოო პრაქტიკა
ერეკლე სიგუა	მოწვეული სპეციალისტი(I კატ)	ფოტოხელოვნება

პროგრამის ხელმძღვანელი

ქ. ვაჩეიშვილი ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი. მობ: 599137483 e-mail:ketevanv@gmail.com

სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

ბხსუ უზრუნველყოფილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებითა და სასწავლო სახელოსნოებით. ბხსუ-ს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	სასწავლო კურსი	კრედიტ.	საათები			კრედიტების განაწილება			
			სულ	სკონტ	დამოუკ	I	II	III	IV
	სპეციალობის ძირითადი კურსები	***95***	***2250***	***570***	***1880***	***25***	***29***	***15***	***30***
M2g1	ხატვა (კურაცია)	**4**	100	40	60	4			
M2g6	ფერწერა (კურაცია)	**4**	100	40	60	4			
M2g2	ინოვაციური მასალები და თანამედროვე მოდის ტენდენციები	**4**	100	20	80	4			
M2g3	ორნამენტი სამოსის დიზაინში (კურაცია)	**4**	100	20	80	4			
M2g11	ფოტოხელოვნება	**4**	100	30	70	4			
M2g4	სამოსის მოდელირება	**5**	125	30	95	5			
M2g5	სამოსის მოდელირება	**5**	125	30	95		5		
M2p1	საწარმოო პრაქტიკა (კურაცია)	**3**	75	15	60		3		
M2g7	ხელოვნებათმცოდნეობის ზოგადი ანალიტიკური კურსი	**5**	125	30	95		5		
M2g8	კომპოზიცია და ტექსტილით დეკორირება	**5**	125	30	95		5		
M2g9	სამკერვალო ნაწარმის პროექტირება და კონსტრუირება	**7**	175	45	130		7		
M2g10	სამკერვალო ნაწარმის მასალაში შესრულება	**5**	125	15	110			5	
M-US-17	მარკეტინგული კომუნიკაციები	**5**	125	30	95			5	
M2g12	სპეც. ინგლისური	**5**	125	30	95			5	
M2g13	სამაგისტრო ნაშრომი	**30**	750	180	570				30
	არჩევითი კურსები	***25***	***750***			***5***	***5***	***15***	
M-US-1-	უცხო ენა	**5**	125	30	95				
M-US-2	ფიტოდიზაინი	**10**	250	60	190				
M-US-3	მეტყველების კულტურა	**5**	125	30	95				
M-US-4	სწავლა/სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები	**5**	125	30	95				
M-US-5	გლობალიზაცია და თანამედროვე პოპულარული კულტურები	**5**	125	30	95				
M-US-6	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და ტაქტიკა	**5**	125	30	95				
M-US-7	ქართული თეატრის ისტორიის პრობლემები	**5**	125	30	95				
M-US-8	კულტურის მენეჯმენტი	**5**	125	30	95				
M-US-9	ქართველი ხალხის ეთნოკულტურა	**5**	125	30	95				
M-US-10	XX ს-ის მუსიკის ძირითადი ტენდენციები	**5**	125	30	95				
M8g2	ხელოვნების ფილოსოფია	**5**	125	30	95				
	სულ	***120***	***3000***			***30***	***30***	***30***	***30***